

2018 წელს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი „თბილისსა და რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობაზე“ წარმოდგენილი 14 პროექტიდან, საკონკურსო კომისიამ რეკომენდაციები გაუწია 11 პროექტის ხელშეწყობას, რომელნიც თბილისსა და რეგიონებში ჯგუფური, თუ პერსონალური გამოფენებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამართვით, წარმოაჩინენ საქართველოს ვიზუალური ხელოვნების ფართო სპექტრს (ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი, ფოტოხელოვნება, მულტიმედია, სივრცული ინსტალაცია და თანამედროვე ხელოვნების სხვა მიმართულებები).

**„მოძრავი იმიჯები“** (განმახორციელებელი - შპს „ფროჯექტ ართბით“) პროექტის ფარგლებში ორგანიზებული გამოფენების მონაცემების მიზანია, თანამედროვე ხელოვნების ხელმისაწვდომობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოციალურად და ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობისათვის. გამოფენების მოსაწყობად შეირჩა რამოდენიმე ლოკაცია: სვანეთი, მესტიის მუზეუმი - მაია ნავერიანის ნამუშევრების გამოფენა; წყალტუბო, საბჭოთა პერიოდის სანატორიუმი - ლადო ფოჩხუას ნამუშევრების ექსპოზიცია და სიღნაღი, მოძრავი კონტეინერი - მამუკა ჯაფარიძის კამერა ობსკურას პრინციპით შექმნილი ინსტალაცია და ექსპოზიცია შემოდგომის თემაზე - სექტემბერი.

**„ვალერიან სიღამონ -ერისთავი მოდერნიზმიდან სოცრეალიზმამდე“** განმახორციელებელი - შპს „ბაია ვალერია“) აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მნიშვნელოვანი ქართველი მხატვრის კოლექციის (400 - ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, ფოტო და სარქივო დოკუმენტები, მხატვრის ხელნაწერები, წიგნები) გამოჩენა საგამოფენო სივრცესა და ხელოვნების ბაზარზე, როგორცაა ქართული მოდერნიზმის მნიშვნელოვანი ფიგურა ვალერიან სიღამონ – ერისთავი.

**„ვალერია ქუჩაში“** (განმახორციელებელი - ააიპ ‘Future Connections’) პროექტის მიზანია ბათუმსა და თბილისში მოხდეს სპეციალურად დამონტაჟებულ “არტ ბოქსებში” (რაოდენობა 12 “არტ ბოქსი”, რუკა: <https://goo.gl/ZYMnpb> / [ARTUP.GE](http://ARTUP.GE)) გამოფენების ორგანიზება. მინიმუმ 8 გამოფენა, თბილისსა და ბათუმში, 40 000 სოციალური ქსელის მომხმარებლის ხილვადობა, მინიმუმ 8 სიუჟეტი/ჩართვა/ონლაინ პოსტი გაშუქება. გამოფენების, პროექტის მიზანია ხელოვნების გააქტიურება - თანამედროვე ციფრული ხელოვნების პოპულარიზაცია, საზოგადოებაში შექმნილი პასიური მომხმარებლის გააქტიურება და ხელოვნების ქუჩაში გატანა.

**„Modern Madonnas“** (განმახორციელებელი-ააიპ - „არტ & სოსაითი“) პროექტის მიზანი, ხელოვნების საშუალებით, ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. პროექტი გულისხმობს ალტერნატიული რაკურსით დაანახოს საზოგადოებას მონყალების

მთხოვნელი დედები, რომლებიც ხშირად საზოგადოების მხრიდან, “დეჰუმანიზირებულ” ქალებს წარმოადგენენ. ამ ქალების ნაწილი ეთნიკურად ბოშაა, რომლებიც, საკუთარი ან სხვისი შვილებით ცდილობენ მოწყალეების მიღებას. გამოფენის ფარგლებში დამთვალეირებელს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს ფოტონამუშევრებს და მიიღოს მონაწილეობა დისკუსია-მასტერკლასებში .

**„შემდეგი გაჩერება - მცხეთა“** (განმახორციელებელი - ა(ა)იპ “სეკატორი”) წარმოდგენილი პროექტი “შემდეგი გაჩერება - მცხეთა” წარმოადგენს ინტეგრირებულ გამოფენას, რომელიც განხორციელდება სს „საქართველოს რკინიგზასთან” თანამშრომლობით. პროექტი გულისხმობს მულტიმედიაური და ინტერაქტიული გამოფენის მოწყობას მცხეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ვიდეო და აუდიო ინსტალაციები, პროექციები, ცოცხალი პერფორმანსი. პროექტი ხელს შეუწყობს დედაქალაქში აკუმულირებული ხელოვნების ახლო პერიფერიაში და თანაც ტურისტულად მიმზიდველ, ისტორიულ სივრცეში გატანას.

**„საავტორო თოჯინების თბილისის საერთაშორისო ფესტივალი“** (განმახორციელებელი - სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი). საერთაშორისო ფესტივალი იმართება 2016 წლიდან კულტურის სამინისტროსა და მერიის მხარდაჭერით. 2018 წელს დაგეგმილია ფესტივალის მოწყობა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. ფესტივალში, გარდა ქართველი მეთოჯინე მხატვრებისა, მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე გამორჩეული მეთოჯინეები, ექსპერტები, კოლექციონერები.

**„პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE“** (განმახორციელებელი - ორგანიზაცია „არტ კავკასია“) პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთერთი მნიშვნელოვანი დარგის - ბეჭდვითი მედიის - დაზგური გრაფიკის /ხელით, ორიგინალი ბეჭდვის/ - პრინტის საერთაშორისო ფესტივალის, „LIFE N STYLE“, ორგანიზებას (სერიგრაფია, ოფორტი, შოლკოგრაფია, ლითოგრაფია, ლინოგრაფიურა). ფესტივალი უკვე მესამედ ტარდება. წელს, მთავარი აქცენტი თუშეთზეა გათვალისწინებული, სადაც არტისტები სხვადასხვა მედიაში ლეგენდებისა და მითების თემაზე შექმნიან ნამუშევრებს.

**„ლამა საბაქთანი“** (განმახორციელებელი - კავშირი „თანამედროვე ხელოვნების კლუბი“) მულტიმედიაური პროექტი „ლამა საბაქთანი“, გულისხმობს როკო ირემაშვილის პერსონალურ გამოფენას. პროექტი შედგება ორი ნაწილისგან - ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებიდან. პროექტი თავისი შინაარსით, თემატიკის სიძველესა და მის მარადიულობას ეხმიანება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ავტორის მიერ ახლებურად ინტერპრეტირებული სურათ-ხატებები.

**„გზაჯვარედინზე“** (განმახორციელებელი - „სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრი“) პროექტის ფარგლებში, დაბა "ბედიანში" დაარსდება მუდმივმოქმედი შემოქმედებითი სახელოსნო, რომლის ძირითადი მიმართულება პირველ ეტაპზე იქნება ხეზე კვეთის სამუშაოები და ხის მასალით სხვადასხვა შემოქმედებითი ნივთების დამზადება. პროექტის ფარგლებში დაბა "ბედიანის" მოსახლეობის ეთნიკურ უმცირესობათა სკოლის მოსწავლეებსა და "ბავშვთა ცენტრის" აღსაზრდელებს მასტერკლასებს ჩაუტარებს თბილისისა და ჩასული ახალგაზრდა ოსტატთა ჯგუფი, რომელთა შემოქმედებითი საქმიანობაც აქტიურად უკავშირდება ხეზე კვეთასა და ხის მასალის გამოყენებას თანამედროვე სახელოვნებო ბაზარზე. პროექტის ხანგრძლივობაა 3 თვე, რაც სრულებით საკმარისი იქნება იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის, რაც უკვე შემდგომი დამოუკიდებელი სამუშაოებისთვისაა საჭირო. პროექტის ბოლო ეტაპზე მოენწყობა გამოფენა.

**„ვარ საქართველო“** - ლენდარტის პროექტი ვარძიაში (განმახორციელებელი- ირაკლი გაბეცაძე, მხატვარი, ინდივიდუალური მენარმე) ვარძიის სამონასტრო კომპლექსი - ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, არა მხოლოდ მსოფლიოს მატერიალური კულტურის უნიკალური ნიმუშია, არამედ, ქართველთათვის უდაოდ იდენტიფიცირდება სამშობლოს ცნებასთან. სამშობლოსა და ყოფნაზე („შინ ყოფნა“) დაფიქრება, რაც პროექტის კონცეფციამაა ჩადებული, პროექტი „ვარ საქართველო“ კულტურათა დიალოგის ერთგვარი შემოთავაზებასაა და იმ ღირებულებების გაზიარებას სთავაზობს მსოფლიოს, რითაც საუკუნეების მანძილზე იკვებებოდა ქართული კულტურა, რითაც დღესდღეობით არსებობს და ვითარდება; ერთგვარი არტისტული მესიჯია ქართულ ღირებულებებსა და მენტალობაზე კიდევ ერთხელ დასაფიქრებლად. პროექტი ორი ეტაპისაგან შედგება: ლენდარტი ვარძიაში (ნამუშევრებზე მუშაობა) და პროექტის პრეზენტაცია თბილისში, „თიბისი არტ გალერეაში“.

**„მაისის თბილი სიო“** - თანამედროვე საავტორო დიზაინის ავეჯის და ნივთების გამოფენა (განმახორციელებელი - შპს „თრეილსაითი“). პროექტის მიზანია ორი ხელოვანის, რატი და კახი ერაძეების გამოფენის მოწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება საავტორო დიზაინის ინტერიერ-ექსტერიერის ავეჯი, ნივთები, ქანდაკებები და ინსტალაციები. გამოფენის ექსპოზიციას დაეთმობა თბილისში, პეტრაშვილის ქ.#1-ში, მდებარე ისტორიული ღვინის ქარხანა#1-ის ტერიტორია. გამოფენის მიზანია ფართო საზოგადოებას, პოტენციურ მყიდველებსა და გალერისტებს, ასევე უცხოელ სტუმრებს აჩვენოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ქართული ნიმუშები.